სოციალური მოძრაობების როლი დემოკრატიზაციის პროცესში

(უკრაინისა და საქართველოს შემთხვევების შედარებითი ანალიზი)

ნინო სანიკიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები
(საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი,
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო სანიკიძე

04.06.2025

მადლობა

პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელმაც მომცა აკადემიური განვითარების, პროფესიით ღრმად დაინტერესებისა და მრავალმხრივი გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა. აქ მიღებულმა ცოდნამ უდიდესი როლი შეასრულა ჩემი პიროვნული და პროფესიული გზის ფორმირებაში, რადგან ეს არის სივრცე, სადაც განათლება, განვითარება და თავისუფალი აზროვნება ერთმანეთს ორგანულად ერწყმის.

გარდა ამისა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრემენის უნივერსიტეტში (გერმანია) მიღებული ცოდნა და გამოცდილება, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩემი ხედვის გაფართოებასა და კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში. საერთაშორისო გარემოში ყოფნა, მრავალფეროვან აკადემიურ დისკურსში მონაწილეობა და ახალი პერსპექტივების გაცნობა იყო გარდამტეხი ეტაპი ინტერესების გაფართოებისათვის.

დიდ მადლობას ვუხდი ყველა პროფესორს, მეგობარსა და რესპონდენტს, ვინც გვერდში დამიდგა კვლევის პროცესში და თავისი წვლილი შეიტანა ამ ნაშრომის შექმნაში. თითოეული რჩევა, მხარდაჭერა და გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანი იყო ნაშრომის განვითარებისა და სრულყოფისათვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო ფავლენიშვილს – მისი პროფესიონალიზმი, მუდმივი მხარდაჭერა და ყურადღება იყო ჩემთვის მოტივაციისა და წინსვლის წყარო. მადლობა იმ ნდობისთვის, რომელიც მან ჩემდამი პირველივე შეხვედრიდან გამოავლინა, და იმ შესაძლებლობებისთვის, რომლებიც მომცა – განვითარებისთვისა და აკადემიური კვლევის ხარისხიანად შესრულებისათვის.

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა განიხილავს სოციალური მოძრაობების როლს დემოკრატიზაციის პროცესში პოსტსაბჭოთა ორი ქვეყნის — საქართველოსა (2024-25) და უკრაინის (2013-14) — შედარებითი ანალიზის საფუძველზე. მისი მიზანია შეისწავლოს, რა გავლენას ახდენს მოძრაობების სტრუქტურული აგებულება, იდენტობის პოლიტიკა და საერთაშორისო მხარდაჭერა პოლიტიკურ ტრანსფორმაციებზე ხელისუფლების რეპრესიული რეაქციების პირობებში. კვლევის ძირითადი კითხვაა, თუ როგორ ზემოქმედებს სოციალური მოძრაობების სტრუქტურული და იდეოლოგიური კონფიგურაციია დემოკრატიზაციის პროცესზე ავტორიტარულ გარემოში. ფორმულირებულია ორი ჰიპოთეზა, რომელთა შორის გამოკვეთილია იდეა, რომ ჰორიზონტალურად ორგანიზებული და სიმბოლურად ძლიერი მოძრაობები, რომლებიც სარგებლობენ გარე მხარდაჭერით, უფრო მდგრადები არიან პოლიტიკური ზეწოლის პირობებში. კვლევის თეორიული ჩარჩო მოიცავს სამ ძირითად მიდგომას: პოლიტიკური შესაძლებლობების, რესურსების მობილიზაციის და ფრეიმინგის თეორიებს. მეთოდოლოგია ეფუძნება თვისებრივ ანალიზს, მათ შორის პირველადი ინტერვიუებისა და მედიამასალების კონტენტ/დისკურსულ ანალიზს. შედეგებმა აჩვენა, რომ იდენტობის პოლიტიკით გაძლიერებული ნარატივები, ონლაინ მობილიზაცია და საერთაშორისო სოლიდარობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დემოკრატიულ ტრანზიციას. შესაბამისად, სოციალური მოძრაობები წარმოჩნდება არა როგორც დროებითი პროტესტები, არამედ სისტემური ცვლილებების აქტორები პოსტსაბჭოთა კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მოძრაობები, დემოკრატიზაცია, პოლიტიკური შესაძლებლობები, რესურსების მობილიზაცია, ფრეიმინგი, საერთაშორისო მხარდაჭერა.

Abstract

This study examines the role of social movements in the democratization process through a comparative analysis of two post-Soviet countries—Georgia (2024–25) and Ukraine (2013–14). Its aim is to explore how the structural composition of movements, identity politics, and international support influence political transformations in the face of resistance from authoritarian regimes. The central research question asks how the structural and ideological configuration of social movements affects democratization in authoritarian environments. Two hypotheses are formulated, with particular emphasis on the idea that horizontally organized and symbolically powerful movements, supported by external actors, are more resilient under political pressure. The theoretical framework of the study incorporates three main approaches: political opportunity theory, resource mobilization theory, and framing theory. The methodology is based on qualitative analysis, including primary interviews and content/discourse analysis of media materials. The findings indicate that narratives reinforced through identity politics, online mobilization, and international solidarity significantly contribute to democratic transitions. Consequently, social movements emerge not as temporary protests, but as actors of systemic change in the post-Soviet context.

Keywords: social movements, democratization, political opportunities, resource mobilization, framing, international support, collective identity.